



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

06 ნოემბერი 2024



N 636/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ 33,3494 ჰა ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (4835000 მ³ ქვიშა-ხრემის) ღია კარიერული წესით მოპოვებასა და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ (ს/კ - 445433120) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 6 ივნისს (წერილი N5674) წარმოდგენილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, 33,3494 ჰა ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (4835000 მ³ ქვიშა-ხრემის) ღია კარიერული წესით მოპოვებისა და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N305/ს; 13/06/2024), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ მიერ.

2024 წლის 12 იანვარს შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (4835000 მ³ ქვიშა-ხრემის) ღია კარიერული წესით მოპოვების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N19; ბრძანება N127/ს; 01.03.2024).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/8271, 06.08.2024 წ.) შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ მიერ 2024 წლის 4 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა წერილი (N9814, 04.10.2024 წ.), რომლის შესაბამისად დაზუსტდა, საკვლევ ტერიტორიაზე სასამართლო ვარგისი წყალშემცველი ვულკანური ქანების საკითხი, ასევე ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე ეროზიული და გრავიტაციული პროცესების შეფასებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, ლანდშაფტის - რელიეფის ცვლილების საკითხი, საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდები, დასახლებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ

ინფორმაცია. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N 577/ს, 09.10.2024 წ.). დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

2024 წლის 19 ივლისს, საჯარო განხილვის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ლიცენზირებულ ტერიტორიაზე დაწყებული იყო სამუშაოები, მათ შორის, II უბანზე განთავსებული იყო სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი, რის შესახებაც 2024 წლის 23 ივლისის N21/7619 წერილით ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ლიცენზირებული ტერიტორიის ინსპექტირების დროს დადგინდა, რომ მიმდინარეობდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სამუშაოები და ფუნქციონირებდა ერთი ერთეული სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი, ხოლო მეორე უბანზე განთავსებული სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი იყო არამუშა მდგომარეობაში. გამოვლენილ დარღვევაზე, შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ მიმართ, 2024 წლის 8 ოქტომბერს, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N087340.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქ. საგარეჯოსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. შიბლიანში, 333494 მ² ფართობზე შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ მიერ დაგეგმილია 4 835 000 მ³ ქვიშა-ხრემის ღია კარიერული წესით მოპოვება. სალიცენზიო ფართობი მოიცავს ორ უბანს. პირველი უბნის ფართობია 83484 მ², სადაც მოსაპოვებელი ქვიშა-ხრემის მოცულობა შეადგენს 834840 მ³-ს, სიმძლავრე 10 მ-ს, ხოლო მეორე უბნის ფართობია 250010 მ², მოსაპოვებელი ქვიშა-ხრემის მოცულობა - 4000160 მ³, სიმძლავრე - 16 მ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ 2023 წელს გაცემულია ლიცენზია-ბრძანება N750 (ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წელი). ლიცენზირებული კარიერის უბნები განთავსებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნაწილზე (ლიცენზირებული კარიერის პირველი უბანი - 55.12.62.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ხოლო მეორე უბანი - 55.06.63.010.018 და 55.06.63.010.017 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების საზღვრებში).

სალიცენზიო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: I უბანი: X-527618, Y-4617790; X-527413, Y-4617470; X-527247.6, Y-4617775; X-527294, Y-4617916; II უბანი: X-546370, Y-4609045; X- 546230, Y-4608573; X-546689, Y-4608448; X-546653, Y-4608336; X-546536, Y-4608348; X-546525, Y-4608306; X- 546396, Y-4608337; X-546341, Y-4608197; X-546141, Y-4608272; X-546233, Y-4608492; X-546025, Y-4608526; X- 546050, Y-4608613; X-545999, Y-4608664; X-546118, Y-4609103; X-546204, Y-4609107.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კარიერის I უბნიდან 500 მეტრის რადიუსში განლაგებულია სხვადასხვა პროფილის შენობა-ნაგებობები, მათ შორის დაახლოებით 48 მეტრში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.12.62.001.605) წარმოდგენილია საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის სამშენებლო ბანაკი, სადაც გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია ნედლეულის მიწოდება-გადამუშავება. ტერიტორიიდან დაახლოებით 60 მეტრში მდებარეობს ფერმა (ს/კ 55.12.62.002.612) და უფუნქციო შენობა-ნაგებობები (ს/კ55.12.64.000.035), დაახლოებით 378 მეტრში განთავსებულია სასაწყობე შენობა-ნაგებობა (ს/კ55.12.64.010.602).

ლიცენზირებული კარიერის II უბნიდან დაახლოებით 210 მეტრში მდებარეობს შპს „ედინას“ საკუთრებაში არსებული ფერმა (შენობა-ნაგებობა - ს/კ 55.06.60.058.024), 177 (ს/კ 55.06.60.000.239), 194 (ს/კ 55.06.60.000.010) და 331 (ს/კ 55.06.56.000.022) მეტრში არსებული შენობა-ნაგებობები წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფუნქციურად არ არის დატვირთული. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბნიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 978 მეტრით (ს/კ: 55.12.62.000.012), ხოლო მეორე უბნიდან დაახლოებით - 712 მეტრით (ს/კ: 55.06.60.037.603). ლიცენზირებული კარიერის I უბანსა და II უბანს შორის მანძილი შეადგენს დაახლოებით 20 კმ-ს.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. განხილულია პროექტის ტექნოლოგიური, ტერიტორიის, არაქმედებისა და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ალტერნატივები. ტექნოლოგიური ალტერნატივების სახით გზმ-ის ანგარიში მოიცავს საბადოს დამუშავების დახურული (მიწისქვეშა) და ღია (კარიერული) მეთოდის შესახებ ინფორმაციას. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) უპირატესობებიდან აღნიშნულია მშენებარე საავტომობილო მაგისტრალის სიახლოვე, მისასვლელი გზების არსებობა, სასარგებლო წიაღისეულის დასახლებული პუნქტის გვერდის ავლით ტრანსპორტირების შესაძლებლობა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილია მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის საჭიროების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის განუხორციელებლობა უარყოფითად იმოქმედებს შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის გზების მოდერნიზებისა და გაუმჯობესების სამუშაოებზე.

გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გეოსაინფორმაციო პაკეტის მიხედვით სასარგებლო წიაღისეულის საშუალო სიმძლავრე პირველ უბანზე 10, ხოლო მეორე უბანზე 16 მეტრია და წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდად განსაზღვრულია ღია კარიერული წესი. მოპოვება განხორციელდება 8-10 მეტრიანი სპირაჯოების წინ წაწევით. საბადოს გახსნა განხორციელდება ტრანშეით. ქვიშა-ხრემის მოპოვება და სატვირთო მანქანებში ჩატვირთვა მოხდება ექსკავატორის (ჩამჩის მოცულობით 1,0-1,25 მ³) გამოყენებით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, კარიერის პირველი უბნის სიახლოვეს, თბილისი-ბაკურციხის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში მოწყობილია სამშენებლო ბანაკი სადაც განთავსებულია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი (გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება). აღნიშნულის გათვალისწინებით, კარიერის პირველ უბანზე მოპოვებული ნედლეულის გადამამუშავება დაგეგმილია სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე არსებულ სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კარიერის დამუშავების დროს გამოსაყენებელი ტექნიკა ასევე განთავსდება საავტომობილო მაგისტრალისთვის განკუთვნილ სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზევე განხორციელდება ტექნიკის საწვავით უზრუნველყოფა. კარიერის ტერიტორიაზე საწვავის გამართვის უბნების მოწყობა პროექტით გათვალისწინებული არ არის. ვინაიდან კარიერის მეორე უბანი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 20 კმ მანძილით, შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ მეორე უბანზე მოპოვებული ნედლეულის ტრანსპორტირებით გამოწვეული ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება მეორე უბნის კარიერის ტერიტორიაზე სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს განთავსების თაობაზე.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ლიცენზირებული ტერიტორიის მეორე უბანზე სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო ნაწილობრივ მოწყობილია. საწარმოს შემადგენლობაში იქნება მობილური საცერ-დამხარისხებელი (N1 დანადგარი), მობილური სამსხვრევი დანადგარი საცერ-დამხარისხებლით (N2 დანადგარი) და 2 ერთეული სტაციონარული სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი (N3 და N4 დანადგარები). N1 და N2 დანადგარები განთავსდება ერთმანეთის მიმდებარედ დაახლოებით 2500 მ² ფართობზე, ხოლო N3 და N4 დანადგარები (ერთმანეთის მიმდებარედ) - დაახლოებით 7300 მ² ფართობზე. N1 და N2 დანადგარების განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-546146, Y-4608911; X-546170, Y-4608911; X-546170, Y-4608929; X-546219, Y-4608930; X-546220, Y-4608890; X-546146, Y-4608889; N3 და N4 დანადგარების განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-546163, Y-4608730; X-546219, Y-4608805; X-546278, Y-4608761; X-546219, Y-4608680.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მობილური ტიპის N1 საცერ-დამხარისხებელი დანადგარი შედგება მხოლოდ ვიბრაციული საცერ-დამხარისხებლისგან და ლენტური კონვეირისგან. წლის განმავლობაში დაგეგმილია 124 800 მ³ ნედლეულის გადამუშავება (ერთი ფრაქციის 5-10 მმ ზომის პროდუქტის წარმოება). მობილური ტიპის N2 სამსხვრევი დანადგარი შედგება მობილური სამსხვრევის, ლენტური კონვეირის და საცერ-დამხარისხებლისგან. წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 208 000 მ³ ნედლეულის გადამუშავება, აღნიშნული დანადგარით გათვალისწინებულია სამი ფრაქციის პროდუქტის (0-5; 5-10 და 10-20 მმ) წარმოება. გადამუშავება მოხდება სველი მეთოდით, ნედლეულის დანამკის შედეგად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, აღნიშნული მეთოდი არ წარმოქმნის ჩამდინარე წყლებს, რადგან ნედლეულს დაესხურება, მხოლოდ დანამკისთვის საჭირო წყლის რაოდენობა. N3 და N4 სტაციონარული სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები აღჭურვილია საოპერატორო, მიმღები ბუნკერით, ორსაფეხურიანი სამსხვრევი დანადგარით (ყბებიანი და როტორული), საცერ-დამხარისხებელი დანადგარით და ლენტური კონვეირებით. აღნიშნულ დანადგარებზე (N3, N4) დაგეგმილია ოთხი ფრაქციის (0-5; 5-10; 10-20 და 20-40მმ) პროდუქტის წარმოება. თითოეულ მათგანი წლის განმავლობაში გადაამუშავებს 312 000 მ³ ნედლეულს. ჯამურად ოთხივე დანადგარის მიერ წლის განმავლობაში გადამუშავებული და მიღებული პროდუქციის რაოდენობა იქნება 956800 მ³. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დანადგარებზე ნედლეულის მიწოდება გათვალისწინებულია ექსკავატორ დამტვირთველის მეშვეობით.

საბადოს დამუშავების და სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარების სამუშაო გრაფიკი განსაზღვრულია წელიწადში 260 დღითა და დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. დასაქმებული იქნება 42 ადამიანი. კარიერის დამუშავებისა და სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი ტექნიკა: 8 ერთეული ექსკავატორი დამტვირთველი, 2 ერთეული ბულდოზერი და 20 ერთეული ავტოთვიტმცლელი. პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამოყენებას.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის ორივე უბანზე მისასვლელად გამოყენებული იქნება მშენებლობის ეტაპზე მყოფი „თბილისი-ბაკურციხის“ საავტომობილო მაგისტრალის პირველი და მეორე ლოტის ნაწილები, რომლებიც მოხრეშილია და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. როგორც აღნიშნა ლიცენზირებული ტერიტორიის პირველ უბანზე მოპოვებული ნედლეულის გადაზიდვა მოხდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე (რომელიც მდებარეობს პირველი უბნის გვერდით) მოწყობილ სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარში დამუშავების მიზნით, საიდანაც გადამამუშავებული პროდუქციის ნაწილი გამოყენებული იქნება ადგილზე ასფალტის და ბეტონის საწარმოებლად, ხოლო ნაწილი საავტომობილო გზის მშენებლობაში, ქვედა ფენის მოსასწორებლად. კარიერის მეორე უბანზე

მოპოვებული ნედლეული გადამუშავდება ამავე უბანზე გათვალისწინებულ დანადგარებში და გამოიყენება კარიერის მიმდებარედ არსებული საავტომობილო გზის მშენებლობაში. საწარმოდან ნედლეულის გატანა მოხდება კომპანიის თვითმცლელი ავტომანქანებით. ორივე უბნიდან დღის განმავლობაში დაგეგმილია დაახლოებით 15-20 სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება. გზმ-ს ანგარიშის თანახმად, კარიერებზე მოპოვებული რესურსის ტრანსპორტირება არ მოხდება დასახლებული პუნქტის გავლით. სატრანსპორტო გადაადგილებებით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები (მისასვლელი გზების მორწყვა მშრალ ამინდებში საჭიროებიდან გამომდინარე - დღეში 4-5 -ჯერ, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება გადახურული ძარით, სატრანსპორტო საშუალებების შეზღუდული სიჩქარით გადაადგილება, ღამის საათებში სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების აკრძალვა და სხვა).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად პროექტის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის და გამოყენებული იქნება საავტომობილო მაგისტრალისთვის განკუთვნილი ზემოაღნიშნული სამშენებლო ბანაკი. ვინაიდან, დასაქმებულები ისარგებლებენ საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტისთვის გამოყოფილი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურით, ლიცენზირებული ტერიტორიის პირველ უბანზე ინფრასტრუქტურული ობიექტის (საოფისე შენობის, სველი წერტილის და ა.შ) მოწყობა გათვალისწინებული არ არის, ხოლო მეორე უბნის შემთხვევაში გზმ-ის ანგარიშის მიხედვით გათვალისწინებულია ბიოტუალეტის მოწყობა, შესაბამისი კომპანიის მომსახურებით. კარიერის ტერიტორიაზე დასაქმებულთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა მოხდება ბუტილიზებული სახით. ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით გადამუშავების უზრუნველსაყოფად კარიერის მეორე უბნის ტერიტორიაზე განთავსდება 10 მ³ მოცულობის წყლის რეზერვუარი, რომელიც შეივსება ყოველდღიურად, საგარეჯოს მუნიციპალური სამსახურის მიერ. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მისასვლელი გზების მორწყვის მიზნით წყალმომარაგება ნაწილობრივ განხორციელდება საავტომობილო გზის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე არსებული საწარმოს სალექარში დაგროვილი (გაწმენდილი) წყლით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გეოდინამიკური ვითარება სტაბილურია. საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I, მარტივი სირთულის კატეგორიას. სასარგებლო წყება წარმოდგენილია ქვიშა-ხრემით, ზედაპირზე. საპროექტო უბნის გეოლოგიური და გეომორფოლოგიური აგებულება, ასევე საბადოს ღია კარიერული წესით, საფეხურებრივად დამუშავება გამორიცხავს მეწყერულ, ჩაქცევით ან სხვა უარყოფითი პროცესების განვითარებას და არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ცვლილებებს. წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დროს განხორციელდება პერიოდული მონიტორინგი შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიისათვის დამახასიათებელია მაღალი ხარისხის მიწისქვეშა წყლების თხელი წყალშემცველი ჰორიზონტები, წყლის ლოკალიზებული, ზოგადად ნაკლები სიუხვის მაჩვენებლებით. ტერიტორია მთლიანად მოიცავს ისეთ უბნებს, რომლებიც ხასიათდება ვულკანურ ქანებში არსებული სასმელად ვარგისი წყალშემცველი ჰორიზონტებით. ლიცენზირებული უბნის ფარგლებში და მის მიდამოებში გრუნტის წყლების გამოსავალი არ აღინიშნება. გრუნტის წყლების მცირე დებეტისანი გაფანტული და იშვიათი გამოსავლებია ღარტაფების ფსკერებზე, ტერასული საფეხურის ახლოს. ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბნიდან შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული სამელიორაციო არხი, დაშორებულია დაახლოებით 720 მეტრით, ხოლო მეორე უბნიდან უახლოესი ზედაპირული

წყლის ობიექტი, მდ. იორი, დამორებულია დაახლოებით 1.18 კმ-ით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს გრუნტის წყლებისა და ზედაპირული წყლის ობიექტების დაზინძურებას.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინფორმაციით, ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბანი მდებარეობს ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ჩრდილოეთით 720 მეტრში, მეორე უბანი - ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის დარული გამანაწილებელი არხის სამხრეთით, 30 მეტრში. შპს „საქართველოს მელიორაცია“ არ არის წინააღმდეგი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით სამუშაოების განხორციელებაზე, თუ აღნიშნულ უბანზე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-ტრანსპორტირების დროს არ მოხდება სამელიორაციო ინფრასტრუქტურისა და მათი საექსპლუატაციო გზების დაზიანება, ასევე მოპოვებული გრუნტის განთავსება დარული არხის სიახლოვეს. დაზიანების შემთხვევაში კი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა.

გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტი, რომელშიც მოცემულია სალიცენზიო ობიექტის/ტერიტორიის, მოპოვების ტექნოლოგიებისა და ტექნიკის, დამუშავების გეგმის, ტერიტორიაზე არსებული ბიოლოგიური გარემოს, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების და სხვა ინფორმაცია.

ანგარიშის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის სამთო მინაკუთვნი უკვე განხორციელდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, ჯამურად 66700 მ³ მოცულობით. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობებულია შემდეგ GPS კოორდინატების ფარგლებში: I უბანი-X-527620, Y-4617783; X-527617, Y-4617779; X-527294, Y-4617918; X-527292, Y-4617913. II უბანი - X-546233, Y-4608581; X-546228, Y-4608583; X-546368, Y-4609068; X-546363, Y-4609070.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კომპანიას მომზადებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ლიცენზირებული ტერიტორიის რეკულტივაციის გეგმა. გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას გამოწვეული ფართობის რეკულტივაცია/აღდგენის პროექტი, სადაც განსაზღვრულია მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების და შემდგომი მართვის საკითხები.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ეტაპზე მოსალოდნელია დაახლოებით 45 000-50 000 მ³ მოცულობის ფუჭი ქანების და არასტანდარტული ქვების წარმოქმნა. სარეკულტივაციო ფართობზე მოხსნილი ფუჭი ქანები და არასტანდარტული ქვები დროებით დასაწყობდება სალიცენზიო ტერიტორიების კიდეზე. პირველ უბანზე-ლიცენზირებული ფართობის N3 (X527247;Y-4617775) და N4 (X-527294; Y-4617916) კოორდინატებს შორის, ხოლო მეორე უბანზე ლიცენზირებული ფართობის N14 (X-546118; Y-4609103), N15 (X-546204; Y-4609107) და N1(X546370; Y-4609045) კოორდინატებს შორის. დასაწყობებული ფუჭი ქანების ნაწილი საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იქნას ტერიტორიის ტექნიკური რეკულტივაციის მიზნებისთვის.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება და აღნიშნულია რომ პროექტის განხორციელება დაკავშირებული იქნება დროებითი ხასიათის ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებასთან. საავტომობილო გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ მოხდება საწარმოო დანადგარების დემონტაჟი და ტერიტორიიდან გატანა, ასევე, ლიცენზირებული უბნების ტერიტორიაზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება სარეკულტივაციოდ, სადაც პროექტით

განსაზღვრულია ბალახოვანი მცენარეების დათესვა და ტერიტორიის აღდგენა პირვანდელთან მიახლოებულ მდგომარეობამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ლიცენზირებული ტერიტორიის არცერთი უბანი არ მდებარეობს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. სალიცენზიო ობიექტის პირველი უბნიდან უახლოესი დაცული ტერიტორია - მარიამჯვრის ნაკრძალი დაშორებულია დაახლოებით 4.3 კმ-ით, ხოლო უახლოესი ზურმუხტის ქსელის საიტი GE0000020 - მარიამჯვარი, რომელიც ემთხვევა მარიამჯვრის ნაკრძალს დაშორებულია ასევე 4300 მ-ით. მეორე უბნიდან უახლოესი დაცული ტერიტორია - ყორულის აღკვეთილი დაშორებულია 1029 მ-ით, ხოლო უახლოესი ზურმუხტის ქსელის საიტი GE0000027 - გომბორი - 8.95 კმ-ით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკისა და დაშორების მანძილების გათვალისწინებით, საქმიანობის განხორციელების ეტაპზე დაცულ ტერიტორიებსა და ზურმუხტის ქსელის საიტებზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გავლენის ზონაში არსებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ლიცენზირებული ტერიტორიის როგორც პირველ ისე მეორე უბანზე არსებული საფარი მოხსნილია. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩატარებული ლიცენზირებული უბნების კვლევის მიხედვით მეორე უბნის საპროექტო ტერიტორია იყო მერქნიანი მცენარეებისაგან თავისუფალი, ხოლო პირველ უბანზე დაფიქსირდა ძეძვის (*Paliurus spina-christi*), კვრინჩხისა (*Prunus spinosa*) და ასკილის (*Rosa canina*) სახეობები (ჯამში 80 ინდივიდი). ხოლო ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბნიდან აღნიშნული მცენარეული საფარის მოხსნის საკითხი შეთანხმდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასთან. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია აღნიშნული შეთანხმების ამსახველი ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ძუძუმწოვრების 22, ხელფრთიანების 4, ფრინველების 57, ქვეწარმავლების 11 (მათ შორის წითელი ნუსხით დაცული სახეობა ხმელთაშუა ზღვის კუ (*Testudo graeca*)), ამფიბიების 3 (მათ შორის წითელი ნუსხით დაცული სახეობა სირიული მყვარი (*Pelobates syriacus*)) და უხერხემლოების 75-მდე სახეობა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია და მის მიმდებარე არსებული ფართობები წარმოადგენს საავტომობილო მაგისტრალის ბუფერულ ზონას და მობინადრე სახეობები განიცდიან ანთროპოგენურ ზეწოლას, პროექტით გათვალისწინებული ზემოქმედება არ იქნება მაღალი. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, სამუშაო ზონის საზღვრების დაცვა, ორმოებისა და თხრილების შემოფარგვლა მკვეთრი ფერის საგნებით მათში ცხოველების ჩავარდნის თავიდან აცილების მიზნით და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, საქმიანობის განხორციელების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა დაკავშირებული იქნება ნედლეულის მოპოვება-გადამუშავებასთან, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძრავების მუშაობისას (დატვირთვისა და უქმი სვლის რეჟიმში) ნაძვნი აირების გაფრქვევასა და მათი მოძრაობის შედეგად მტვრის გავრცელებასთან. გზშ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში გათვალისწინებულია კარიერის მეორე უბნის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და

გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა. სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (ნედლეულის გადამამუშავებელი N1, N2, N3 და N4 დანადგარების) ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა არაორგანული მტვერი $\text{SiO}_2 < 20\%$ შემცველობით, რომლის ატმოსფერულ ჰაერში კონცენტრაცია 500 მ-იან რადიუსში არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს (მაქსიმალური კონცენტრაცია არაორგანული მტვერის, ზდკ-ს წილი 0,81 მგ/მ³). სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი N1 და N2 დანადგარებიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ 55.06.60.037.603) დაშორებულია 884 მეტრი მანძილით (712 მ - მეორე უბნის საკადასტრო საზღვრიდან), ხოლო N3 და N4 დანადგარებიდან - 1 კმ მანძილით.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშის მიხედვით დაზუსტებული არ არის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრები, საპასპორტო მონაცემების არ არსებობის გამო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებული პარამეტრების დაზუსტების შემთხვევაში ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორც წყაროებზე, ასევე დაანგარიშებულ საკონტროლო წერტილებში შესაძლოა უმნიშვნელოდ შეიცვალოს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მტვერის ფართო მასშტაბზე გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესდება კონტროლი და გათვალისწინებული იქნება ტერიტორიების პერიოდული დანამვა. გზმ-ის ანგარიში ითვალისწინებს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესს.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ხმაურის გაანგარიშებების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში ხმაურის გავრცელება დაკავშირებული იქნება მოპოვებითი სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან. ძირითადი ხმაურის წარმომქმნელი იქნება სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ხმაურის გამომწვევი წყაროების ერთდროული მუშაობისას (ყველა დანადგარის გათვალისწინებით-ყველაზე უარესი სცენარი), ადგილზე წარმოქმნილი ხმაურის ჯამური დონე იქნება დაახლოებით 110 დბა. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ვინაიდან ნედლეულის გადამამუშავებელი N1 და N2 დანადგარიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 884 მეტრით, ხოლო N3 და N4 დანადგარებიდან 1 კმ მანძილით, აგრეთვე საწარმოო დანადგარების განთავსების ტერიტორიებსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლებს შორის არსებობს სხვადასხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური ბარიერები, ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და იქნება 26 დბა.

კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით როგორც გზმ-ის ანგარიშშია აღნიშნული საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მეტრიან რადიუსში ანალოგიური პროფილის საწარმოები და სხვა ტიპის კარიერები განთავსებული არ არის და შესაბამისად, კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კარიერის დამუშავების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ვინაიდან საქმიანობის პროცესში გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება, საწვავის ან/და საზეთ-საპოხი მასალების ადგილზე შეცვლა პროექტით გათვალისწინებული არ არის. ასევე აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე ტიპის ნარჩენის წარმოქმნა, მისი მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსის და ნარჩენების მართვის სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ლიცენზირებული ტერიტორიის ორივე უბანზე ჩატარებული საველე კვლევების დროს, ვიზუალური შეფასებით ადგილზე არ ფიქსირდება არქეოლოგიური

ობიექტები და არტეფაქტები. ხოლო, სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შეწყდება სამუშაოები და ეცნობება შესაბამის უწყებას. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, სალიცენზიო ტერიტორია არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში და ტერიტორიაზე არ ფიქსირდება არქეოლოგიური ობიექტების არსებობა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 19 ივლისს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, სოფ. შიბლიანის საჯარო სკოლის შენობასა და სოფ. ბადიაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“, საკონსულტაციო კომპანია „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ეხებოდა ნარჩენების მართვას, სოციალურ საკითხებს, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ეტაპთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს, მათ შორის მშენებლობის ეტაპზე სარწყავ სისტემაზე, გზებზე და სოფლის მეურნეობაზე ზემოქმედებას. აგრეთვე, სოფ. ბადიაურში საჯარო განხილვის მსვლელობისას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილება გამოითქვა ხმაურისა და მტვრის გავრცელებასთან დაკავშირებით. დასმულ შეკითხვებზე პასუხი გაეცა შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ და შპს „ეკომეტრის“ წარმომადგენლების მიერ. საჯარო განხილვებზე გამოთქმული კითხვები და შესაბამისი განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმებში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტი, რეკულტივაციის პროექტი, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის 26-ე პუნქტის, ასევე II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ 33,3494 ჰა ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (4835000 მ³ ქვიშა-ხრემის) ღია კარიერული წესით მოპოვებასა და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ამასთან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განხორციელოს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;
4. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
5. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება. საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების და სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
6. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი და სამინისტროსთან შეთანხმებული რეკულტივაციის პროექტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა;
7. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება სამელიორაციო სისტემის დაზიანების გარეშე, ხოლო დაზიანების შემთხვევაში დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა.
8. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასახული იქნება საპროექტო ტერიტორიებზე ცხოველთა საბინადრო ადგილების არსებობისა და მათზე შესაძლო ზემოქმედების დადგენის მიზნით, მოპოვების ეტაპზე მონიტორინგის წარმოების საკითხი, ხოლო მიღებული შედეგების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა. ასევე გეგმაში აისახოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით განსახორციელებელი ქმედებების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობისა და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხები;
9. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს საპროექტო ტერიტორიაზე წყალარინების შესახებ ინფორმაციის, ხოლო ეროზიული პროცესების მიმართ არამდგრადი გრუნტების მართვის მიზნით დამატებითი პრევენციული/ შემარბილებელი ღონისძიებების სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;

10. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრები (სიმაღლე) დაზუსტების გათვალისწინებით. ასევე, უზრუნველყოს განახლებული გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
11. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგი გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი მონიტორინგის გეგმის და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2013 წლის №413 დადგენილება).
12. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების დაწყების შესახებ აცნობოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს;
13. შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
14. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მაქრო ქონსტრაქშენს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
15. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
16. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში;

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/636-21-4-202411061419>

